



**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს
გენერალური დირექტორი**



№02/38

21 / ივნისი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე**

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
 2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
 3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.
 4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №4)



გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

დავით ლომიტაშვილი

ბრძანება N02/38; 21.06.2018წ
დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		კვირაცხოვლის სახელობის ეკლესია	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კირბალი (სოფლის ცენტრში)	არქიტექტურის	XIX საუკუნე
2.		წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კირბალი (სოფლის დასავლეთით, სასაფლაოზე)	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
3.		ვანისჭალის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ვანისჭალა (სოფ. ქვემო მექვენის ჩრდ-ით 2 კმ-ზე, ქუთაისიდან ჩრდ-ით 40 კმ-ზე)	არქიტექტურის	XIX საუკუნე
4.		„ციხის წისქვილი“	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. კისისხევი (GPS კოორდ: X 546767, Y 4639295)	არქიტექტურის	XVIII საუკუნე

5.		ჩიქუნეთის მარანი - „ილიას მარანი“	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ჩიქუნეთი	არქიტექტურის / მემორიალური	შუა საუკუნეები
6.		თხილვანის ნაეკლესიარი	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა თხილვანა (GPS კოორდ: 41°33'22.09"N, 42°30'43.82"E	არქიტექტურის / არქეოლოგიური	შუა საუკუნეები
7.		ღორჯომის ჯამე	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ღორჯომი	არქიტექტურის	1903 წელი
8.		ბოზნევის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბოზნევი (ბოშურის თემი) კოორდინატები: N _ 41° 52,989' E – 043°59,802'	არქიტექტურის	1661-1683 წწ. კედლის მხატვრობა - 1683 წელი
9.		ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბერთა (ძველი ოლიანჯი)	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები

10.		სამი მღვდელმთავრის სახელობის ტაძარი	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბერთა (ძველი ოლიანჯი) (GPS კოორდ. 41.61303 43.87405)	არქიტექტურის	1852 წელი
11.		#12 საჯარო სკოლა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ქ. სამტრედია, მშვიდობის ქ. #1 (ს/კ 34.08.65.115)	არქიტექტურის / ქალაქთმშენებლობი ს (ურბანული)	1890-იანი წლები